საქართველოს მთავრობის

დადგენილება №281

2021 წლის 15 ივნისი

ქ. თბილისი

„მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №177 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მასობრივი თავშეყრის ობიექტების განსაზღვრისა და მათი მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესისა და პირობების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 29 მარტის №177 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული წესისა და პირობების (მასობრივი თავშეყრის ობიექტების მფლობელების მიერ მესამე პირის წინაშე სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის წესი და პირობები) მე-6 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული შემთხვევის ეფექტიანად მართვისა და თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში მიმართვის მიზნით, ამ დადგენილებით გათვალისწინებული სავალდებულო დაზღვევის განმახორციელებელი ყველა მზღვეველი ვალდებულია, დადოს შესაბამისი ხელშეკრულება სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოსთან, შესაბამისი პროცედურებისა და ვადების მითითებით.

4. სსიპ – საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური ვალდებულია, მიაწოდოს სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნულ სააგენტოს ინფორმაცია იმ მზღვევლების შესახებ, რომლებიც ახორციელებენ საქმიანობას ამ დადგენილებით გათვალისწინებულ სავალდებულო დაზღვევის სახეობაში და ასევე, სსიპ – ჯანმრთელობის ეროვნული სააგენტოს მიმართვის შემთხვევაში, მოსთხოვოს მზღვეველს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული პირობების დაცვა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**